

ენერგორესურსების მოხმარება საქართველოში

2021



16.12.2022

ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის შედეგები (2021 წელი)

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, 13.3 პროცენტით გაიზარდა და 12 645.1 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. ელექტროენერჯის წარმოების გაზრდა ძირითადად განპირობებული იყო გაზრდილი წყალმოძინებით.

2021 წლის განმავლობაში მოპოვებულია 35.5 ათასი ტონა ნედლი ნავთობი (2020 წელთან შედარებით 13.4 პროცენტით მეტი), 147.9 ათასი ტონა ქვანახშირი (წინა წელთან შედარებით 48.9 პროცენტით მეტი) და 16.0 მილიონი მ³ ბუნებრივი გაზი (წინა წელთან შედარებით 1.8-ჯერ მეტი).


გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, შეშის წარმოება 3.7 პროცენტით გაიზარდა და 1 256.5 ათასი მ³ შეშა შეადგინა. ამავე პერიოდში შემცირებულია სხვა ბიოსაწვავისა და ნარჩენების წარმოება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში 2021 წელს წარმოებული ენერგორესურსების სტრუქტურას, გაანგარიშებულს ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში. როგორც დიაგრამიდან ჩანს, წარმოების სტრუქტურაში უდიდესი წილი (74.2 პროცენტი) მოდის ელექტროენერჯიზე. მეორე ადგილს იკავებს ბიოსაწვავი და ნარჩენებიდან წარმოებული ენერჯია (16.0 პროცენტი), რომელიც ძირითადად წარმოდგენილია შეშის სახით, ხოლო დანარჩენი სახეობის ენერგორესურსები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით ხასიათდება.

16.12.2022

წარმოებული ენერჯორესურსები, 2021 წელს

(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)



2021 წელს ელექტროენერჯიის საბოლოო მოხმარებამ 13 118.6 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია შეადგინა, რაც 14.3 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.

2021 წლის მონაცემებით, ბუნებრივ გაზზე მოთხოვნის მოცულობამ შეადგინა 2 801.2 მილიონი მ³ (წინა წელთან შედარებით 3.8 პროცენტით მეტი), ხოლო ბუნებრივი გაზის საბოლოო მოხმარებამ ამავე პერიოდში 2 226.5 მილიონი მ³ შეადგინა, რაც 11.0 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. 2020 წელთან შედარებით ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზარდა შინამეურნეობების სექტორში (9.3 პროცენტით მეტი). მოთხოვნის შესაბამისად, ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზარდა კერძო და სახელმწიფო მომსახურების დარგში. უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო ტრანსპორტში ბუნებრივი გაზის მოხმარება შემცირებულია, რაც განპირობებულია გარკვეულწილად ფასის ზრდით და ბოლო პერიოდში თხევადი გაზის (LPG) მხრიდან გაზრდილი კონკურენციით. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ქვეყანაში ჰიბრიდული და ელექტროავტომობილების რაოდენობის ზრდა განაპირობებს ავტოტრანსპორტის მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარების შემცირებასაც.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


16.12.2022

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წელს ქვეყანაში მოხმარებულია 1 360.2 ათასი ტონა ნავთობპროდუქტი, (წინა წელთან შედარებით 5.6 პროცენტით მეტი).

ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურაში 39.0 პროცენტი მოდის ბუნებრივ გაზზე. შედარებით მაღალი წილით ხასიათდება აგრეთვე ნავთობპროდუქტები (28.3 პროცენტი) და ელექტროენერჯია (23.0 პროცენტი). წლის განმავლობაში მოხმარებული ენერჯიის 4.8 პროცენტს შეადგენს ბიოსაწვავი და ნარჩენები, ხოლო დარჩენილი 5.0 პროცენტი მოდის ქვანახშირზე და გეოთერმულ ენერჯიაზე.

მოხმარებული ენერგორესურსები, 2021 წელს

(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)




2021 წლის ენერგორესურსების მოხმარების სექტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელია შინამეურნეობების სექტორი, რომელზეც მოდის მთლიანი მოხმარების 30.7 პროცენტი. რაც შეეხება სხვა დარგებს, 30.6 პროცენტი მოდის ტრანსპორტის, 18.0 პროცენტი - მრეწველობის, 3.9 პროცენტი - მშენებლობის, 0.5 პროცენტი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის დარგებზე, ხოლო დარჩენილი 16.3 პროცენტი - კერძო და სახელმწიფო მომსახურებაზე და სხვა მომხმარებლებზე ნაწილდება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

16.12.2022

ენერგორესურსების მოხმარება საქტორების მიხედვით, 2021წელს
(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტით)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

16.12.2022

ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება საქართველოს მიხედვით 2015 - 2021 წლებში (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტი)

	ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება, სულ	1000 ტნე	4 168.8	4 396.1	4 455.2	4 414.1	4 592.0	4 486.9	4 913.1
მრეწველობა	1000 ტნე	843.8	789.5	885.1	925.8	887.5	860.4	884.4
	პროცენტი	20.2	18.0	19.9	21.0	19.3	19.2	18.0
მშენებლობა	1000 ტნე	159.2	171.5	180.9	185.9	245.5	201.9	193.6
	პროცენტი	3.8	3.9	4.1	4.2	5.3	4.5	3.9
ტრანსპორტი	1000 ტნე	1 388.5	1 539.0	1 395.6	1 367.4	1 418.5	1 359.1	1503.0
	პროცენტი	33.3	35.0	31.3	31.0	30.9	30.3	30.6
შინამეურნეობები	1000 ტნე	1 200.8	1 265.6	1 336.3	1 227.3	1 300.7	1408.2	1507.7
	პროცენტი	28.8	28.8	30.0	27.8	28.3	31.4	30.7
კერძო და სახელმწიფო მომსახურება	1000 ტნე	402.9	433.3	453.0	514.9	535.5	412.9	544.5
	პროცენტი	9.7	9.8	10.1	11.7	11.7	9.2	11.1
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1000 ტნე	18.7	31.4	32.3	27.6	27.2	24.9	25.7
	პროცენტი	0.4	0.7	0.7	0.6	0.6	0.6	0.5
სხვა	1000 ტნე	154.9	165.7	172.1	165.2	177.1	219.5	254.2
	პროცენტი	3.8	3.8	3.9	3.7	3.9	4.8	5.2

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

16.12.2022

მონმარაბული ენერგორესურსები 2015 - 2021 წლებში (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)

	ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება, სულ	1000 ტნე	4 168.8	4 396.1	4 455.2	4 414.1	4 592.0	4 486.9	4913.1
ქვანახშირი	1000 ტნე	271.4	250.1	276.3	294.0	241.3	213.0	224.2
	პროცენტი	6.5	5.7	6.2	6.7	5.3	4.7	4.6
ნავთობპროდუქტები	1000 ტნე	1 200.5	1 432.7	1 297.2	1 267.4	1 379.3	1 313.3	1391.1
	პროცენტი	28.8	32.6	29.1	28.7	30.0	29.3	28.3
ბუნებრივი გაზი	1000 ტნე	1 430.4	1 406.6	1 535.8	1 536.5	1 669.6	1 728.5	1916.1
	პროცენტი	34.3	32.0	34.5	34.8	36.4	38.5	39.0
ელექტროენერგია	1000 ტნე	851.8	901.7	963.8	1 026.4	1 036.9	987.0	1128.0
	პროცენტი	20.4	20.5	21.6	23.3	22.6	22.0	23.0
გეოთერმული, მზის	1000 ტნე	16.5	18.4	18.8	19.1	19.4	17.2	18.4
	პროცენტი	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4
ბიოსაწვავი და ნარჩენები	1000 ტნე	398.2	386.6	363.3	270.8	245.5	227.8	235.3
	პროცენტი	9.6	8.8	8.2	6.1	5.3	5.1	4.8

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge